

# სამურნეო ჟურნალი

# ՃՐԱՎՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

(ଠେଣ୍ଡିଲ୍ଲୋଡ଼୍ ଓ ପ୍ରିନଟିଂ ପରିଦିନ)

კურნალის ფას წელიწადში . . . . . 3 მან. || რედაქტორია: კავკასიის სამეცნ. საზოგადოება  
თითოე ნომერი ხელშე გასცემიდა 10 კაპ. || აღმართება: თემატიკა, ბარათის, № 5.

ମୁଦ୍ରାକାର ପତ୍ରକ

三〇六二四九

3. ከፍተብዕላድ	አንበሳርስ የኩልች ተመሪያው ስት በትምህር ዓመት ተመሪያው ተመሪያው	1904
4. በመሆኑ	የተመሪያው የኩልች ተመሪያው ስት በትምህር ዓመት	3
5. በመሆኑ	የተመሪያው የኩልች ተመሪያው ስት በትምህር ዓመት	8
6. የሚከተሉት የኩልች ተመሪያው	የተመሪያው የኩልች ተመሪያው ስት በትምህር ዓመት	9
7. የሚከተሉት የኩልች ተመሪያው	የተመሪያው የኩልች ተመሪያው ስት በትምህር ዓመት	11
8. የሚከተሉት የኩልች ተመሪያው	የተመሪያው የኩልች ተመሪያው ስት በትምህር ዓመት	13
9. የሚከተሉት የኩልች ተመሪያው	የተመሪያው የኩልች ተመሪያው ስት በትምህር ዓመት	14

## საკუთრადლებო კნობები:

ლაქების ამოსავენი საპონის მომზადება . . . . .	15
აბრეშუმის ხელისახლც-ბაღდადების გარეცხვა . . . . .	16
როგორ უნდა ეწამლოს გისაც შირი უკანს . . . . .	16

განკუნძულებანი . . . . . 16

# სამეურნეო ჟურნალი

## მრისავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები პირებისა:—  
 3. ავერცინისა, ა. აფხაზ.ს., აგრიკოლასი, გ. ახ. უზილისა, გ. ახ.-ლაძესი ლ. გოგინევისა, გ.  
 გულბათიშვილისა, დ. გორგათაშვილისა, უ. დებაბრიშვილისა, ელე. ესი, ზ. ეღილაშვილისა,  
 შ. ზალაშვილისა, ა. თამაშუევისა, ე. იოსელიანისა, დ. კანქინისა, ე. კარბელაშვილისა, პ.  
 ლოროტევითანიერისა, დ. შეღილისა, ს. მგლობლიშვილისა, მ. მაღალაშვილისა, ნ. მაკარ-  
 შვილისა, გ. შექედლიშვილისა, შ. მამულაშვილისა, გ. ნაცურიშვილისა, ც. ნ. ი. პა-  
 ტაშვილისა, გ. რცხილევისა, მ. სემიონვაგისა, პროფ. ა. ფორცუნაცოვისა, გ. უ-ელისა,  
 ი. წინამძღვრიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. ხრამელუშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ჯორ-  
 გაძესი და რამდენიმე წერილი ხელმოშუწერელი.

რედაქტირ მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქტირ მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.  
 რედაქტირ მოელის სავალდებულოთა აქვს თავისითვის მიღებული იმ იმედით, რომ  
 გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვედეს მისცემს შრომაში ყველა  
 იმათ, ვინც ქალაქ გარედ სკაცვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქტირ მოელის სახით მისცემს ქარ-  
 თულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობით მოწვევულ არიან: გოგებაშვილი ი., სარაჯიშვი-  
 ლი ა., ჯანაშვილი მ., თაყაშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ.,  
 ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ლამბაშიძე ვ.,  
 ალაძე ი., გულისაშვილი მ.

### თანამშრომლობის საბურადლები.

უზრნალის შემსავლიდან გაისტუმრება ჩარჯი სტამბისა და კანცელარიისა, და-  
 ნარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორ-  
 ციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტირ შეასწოროს და შეა-  
 მოვლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შე-  
 ინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქტირ მზათ არის აღმოსავალის „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი  
 შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე კველა სამეურნეო  
 ნაწარმოების შეძენას გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრი-  
 ქნი (ცენური ან აკადემიური ასოთი) განტხადებისა ღირს თური შაური.

წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქტირ თანამშებით.

განცხადების ფასი წინდაწინე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თეს-  
 ლობით სხვადასხვა სამეურნეო მცნარეთა საკუთხესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქტირ, უზრნალის ხელისმომწერლებს გაუგ-  
 ზავნის უფასოდ დამატება-ბრიტურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

### უზრნალი შელიზადში ლის ვ მანეთი.

რედაქტირ ადრესი: თიფლის, ბარატინსკაი, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცეილაშვილი



თანამდებობის გამოცვილის რუსეთში 7 თბილის 1904 წ. და რეკორდ ვისარგებლობის ფაზი  
შეიძლოთ 1904 წ. და როგორ ვისარგებლობის მით

## რა ნაირი კანონი ვამოვიდა რუსეთში 7 თბილის 1904 წ. და როგორ ვისარგებლობის მით

ჩვენი საჩივარი მუდამ ის არის რომ სოფელი იცარცვება, იყვლიფება ჩარჩებით, რომელნიც გლეხის ნაწარმოებს ყიდულობენ და ჰყიდიან.

მწარმოებელი თავის ნაწარმოებს სულ მცირედ ფასში ჰყიდის ვაჭარზე, რომელიც ამ ნაწარმოებს სხვაზე ასაღებს ერთიათად და მთელ მოგებას თავისთვის ინარჩუნებს.

ყოველი ნაწარმოების გასაკეთებლად მასალა საჭირო. სანამ ნაწარმოები გაკეთდება და გაიყიდება გამკეთებელს ჭამა-სმა უნდა. ყველა ამისათვის კი ფულია საჭირო. საიდან იშოვოს მწარმოებელმა მუშამ ეს ფული? მიღის ვაჭართან და ეგრიჯება. ვაჭარიც ამით სარგებლობს, აძლევს გაჭირებულ მუშას საჭირო მასალას ხოლო შედარებით დაბალი ღირსებისას ხშირად და ფასს კი ერთორიად ანგარიშობს. თანაც ამ მუშა-მწარმოებელს ვაჭარი ართმევს პირობას, რომლითაც წინათვე იკვეთავს იმ ნაწარმოებს, რასაც მუშა გააკეთებს, იმ „ღვთისნიერ“ ფასში, რომელსაც თითონვე ვაჭარი ნიშნავს.

გარდა ამისა ვაჭარი ანისიავებს მუშას და მის ოჯახს მარილს, საპონს, შაქარს და სხვა რამდენიც დასჭირდებათ, რაშიაც ანგარიშობს როგორც სინდისი გაუჭრის და იღებს იგივე ნაწარმოებით, რომელსაც მუშა აკეთებს. თუ მასალა ცუდი იყო, რასაკვირველია, გაკეთებული ნივთიც არ გამოვაკარგი და აღარც წინად გარიგებულ ფასს აძლევს ვაჭარი. ამგვარად მუშას

თითქმის აღარაფერი ხვდება რა და ვაჭარი კი ყველა მხრიდან მოგებულია...

ამნაირსავე მდგომარეობაშია სოფლის მეურნეც. სახელმწიფო ან სხვა სავალდებულო გარდასხადისათვის დაუკაუნებენ კარს, თუ შინაური სხვა რამ გაჭირება აუცილებელი დატყდება თავს, სოფლის მეურნე იძულებული ხდება მიმართოს „მადლიან კაცს,“ რომელიც ამ შემთხვევაში ეხმარება მას, მაგრამ ისე კი რომ არ ჩაგრავს რასაკვირველია თავის თავს და ამ სესხის გაცემით ან წინაღვე ყიდულობს გაჭირებულ მეურნესაგან ნაკლებ ფასში მის მოსავალს ან არა და სხვაფრივ ახდევინებს ერთორიად.

როგორც ქალაქის მუშა ისე სოფლის მეურნე აშერწდ გრძნობენ ამ გაჭირებას, მაგრამ არ იციან თავი როგორ დააღწიონ. საშუალება კი არის. ხოლო საჭიროა ვიცოდეთ რომ თავისთავად არა კეთდება რა, ყველაფერს მოსაზრება, მოფიქრება, ხელის განძრევა უნდა. ამასთან ერთი და ორი კაცი ცალკე ვერას გახდება. ვინც გაჭირებული არიან და „მადლიანი კაცებისაგან“ ძალიუნებურად იყვლიფებიან, უნდა შეერთდნენ და საერთოდ იმოქმედონ.

ამგვარ შემთხვევისათვის არის 7 თბილის 1904 წელს გამოცემული რუსეთში სახელმწიფო კანონი ძრიელ ხელისყრელი და იყი ვინც გაიგო ამ კანონის გამოცემა აღვილად სარგებლობს მით თავის საკეთილდღეოთ.



1906 წელს, ესე იგი კანონის დამტკიცების შემდეგ შეორე წელსავე იგი კანონის თანახმად უკვე მოქმედობდნენ რუსეთში 1200 სასოფლო პატარა ბანკები, რომელთაც ჰყავდათ 300 ათასი წევრი მონაწილე. ამ საბანკო ამხანაგობებს იმავე 1906 წელს ჰქონდათ წევრებისაგან შეგროვილი 6 მილიონი მანეთი, სახელმწიფო ბანკმა მისცა მათ სესხად 8<sup>1/2</sup> მილიონი მანეთი, წლის დამლევს ჰქონდათ გაცემული წვრილ-წვრილ სესხად 8<sup>1/2</sup> მილიონი მანეთი, ხოლო იმავე 1906 წლის მარიამობისთვეში გაცემული სესხი უდრიდა 12 მილიონ მანეთს.

ეს მოქლე ნიხრი მგონია, მკითხველო, საკმარისი საბუთია რომ ეს წერილი დამტერა და გამეცნო შენთვის, რაში მდგომარეობს 7 თბილი 1904 წელს გამოცემული კანონი, რომელიც საკრედიტო დაწესებულებებს ეხება.

იგი კანონის ძალით საკრედიტო დაწესებულება შეიძლება საზოგადოების იყოს და საამხანაგოც.

**საზოგადოა** საკრედიტო დაწესებულება, როდესაც მას მთელი სოფელი სასოფლო ყრილობის დადგენილებით გახსნის და საამხანაგო — როცა მას კერძოდ რამდენიმე პირი დააწესებენ საამხანაგოთ.

დაწესებულებანი იგი ორნაირია: **შემნახველ-გამსესხებელი** და **საკრედიტო.**

ორივე გვარ დაწესებულებებს ერთნირი საქმე აქვთ: გასცემენ სესხს, თითონაც სესხულობენ, მიიღებენ შესანახად ფულს და ყოველი საშუალებით ეხმარებიან თავიათ წევრებს საჭირო საქონლის ყიდვისა და გაყიდვის დროს.

განსხვაება ამ დაწესებულებათა შორის იმაში მდგომარეობს რომ მართვა-გამეობა საქმეებისა და აგრედვე პასუხის გება წევრთა შორის სხვადასხვნაირია აქვთ.

**საზოგადო** საკრედიტო დაწესებულება როგორც მის სახელიდანა სჩანს მთელი სოფლის ანუ სოფლების (თუ რამდენიმე სოფელი შეერთდა) საზოგადო საქმეა.

დაარსება **საზოგადო** საკრედიტო დაწესებულებისა შეიძლება მხოლოდ სოფლის საზოგადო ყრილობის დადგენილებით. ამ დადგენილების მომხრე უნდა იყოს დამსწრე წევრთა ორი მესამედი ნაწილი მანც, რომ დადგენილება იგი კანონიერად ჩაითვალოს.

**საზოგადო** საკრედიტო დაწესებულების პატრინად ითვლება სოფლის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. თუ ამ საქმისთვის შეერთებული სასოფლო-საზოგადოებების წევრთა რიცხვი 300-ზე მეტია, მაშინ საკრედიტო დაწესებულების ყველა საქმეებს განავებენ სასოფლო-საზოგადოებების მიერ ამორჩეული რწმუნებულნი.

ამ რწმუნებულთა კრებამ უნდა დაადგინოს: რამდენი, სარგებელი იღონ გასესხებულ ფულზე და რამდენი სარგებელი მიეცეს შესანახად შემოტანილ ფულზე; ისესხონ ფული გარეშე, თუ საკუთარი თანხით დაკმაყოფილდნენ; გირით მოსთხოვონ სესხის ამლებს, თუ თავდებობა და სხვა.

**საზოგადო** საკრედიტო დაწესებულების ყველა საქმეების პირდაპირი გამგებლობა საზოგადო კრებისაგან არჩეულ გამგებას აბარია. ამ გამგებაზე დამოკიდებული ვის მისცეს და



ვის არა სესხი, რამდენი მისცეს, რამდენად დააფასოს ვირაო, ვინ მიღლოს თავდებათ, რა პირობით აიღოს გარეშე სესხი თანახმად საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა და სხვა.

გამეობის მოქმედებისა და საკრედიტო დაწესებულების ყოველივე ქონების შესმოწმებლიად საზოგადო კრება იჩიეს კაცებს-მოანგარიშებს ან, თუ დაწესებულება გაიზარდა და საქმეები გართულდა, განსაკუთრებულ საბჭოს, შემდგარს რამდენიმე წევრისაგან, რომელმაც უნდა ყველა საქმეებს თვალშური ადევნოს.

გამეობა უნდა შესდგებოდეს სამი წევრისაგან. ხოლო საზოგადო კრებას შეუძლიან სამ წევრზე მეტიც აირჩიოს.

როდესაც საკრედიტო საზოგადოება კმაყოფილდება საკუთარი თანხით და არ სესხულობს ფულს გარეშე, არავის წინაშე არც პასუხს ავებს, ხოლო თუ მის კასაში სხვებსაც აქვთ მიბარებული შესანახად ფული ან კასას სხვებისაგან აქვს ნასესხები და შემოხარჯათ, მაშინ საზოგადოების ყოველი წევრი პასუხისმგებელია მათ წინაშე, ვისგანაც ფული ისესტეს ან აიბარეს.

**სამხანაგო** საკრედიტო დაწესებულება შესდგება იმ პირებისაგან მხოლოდ, რომელნიც ისურვებენ და ჩაეწერებიან ამხანაგობაში წევრათ. ამ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულების პატრიოთ ითვლება ამხანაგობის საზოგადო კრება, ხოლო საქმის პირდაპირი გამძლოლი კი საზოგადო კრების მიერ არჩეული გამგეობაა. გარდა ამისა არსებობს აგრედვე საზოგადო კრებისაგანვე არჩეული საბჭოც, რომელიც თვალყურს ადევნებს გამგეო-

ბის მოქმედებას და ასრულებს სუვალა სხვა საქმეებს თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა. საბჭოზე მინდობილი ახალი წევრების მიღება ამხანაგობაში და გარდაწყვეტა იმისი, რამდენი შეიძლება მიეცეს სესხად თითოეულ წევრს.

ამხანაგობის საქმეებში ყოველი წევრი ამხანაგობისა პასუხისმგებელია, ხოლო ყველანი ერთნაირად არ იგებენ პასუხს: ვისაც მეტი სესხის გატანა შეუძლიან, მეტი კრედიტი აქვს, ის ამისდაგვარად მეტი პასუხის-მგებელიც არის, ვისაც ნაკლები — ნაკლებად აგებს პასუხს.

**საკრედიტო ამხანაგობისა და შემნახველ-გამსესხებელი** ამხანაგობის შორის ასეთი განსხვავებაა: საკრედიტო ამხანაგობას როგორც კი დაარსდება იგი უნდა ძირითადი თანხა ჰქონდეს მზად. ეს თანხა შეიძლება ვისმესგან ნაჩუქარიც იყოს და ნასესხებიც. შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში კი ძირითადი თანხა საწევრო ფულის შემოტანით შესდგება. საწევრო შემოსატანი უნდა ერთნაირი იყოს ყველასათვის, მისი რაოდენობა თვით ამხანაგობაში უნდა განსაზღვროს. საწევრო შემოსატანის გარდახდა ანუ პას შეძენა ნაწილ-ნაწილაც შეიძლება, ხოლო შეძენა აუცილებლიად საჭიროა, რომ ნისიად არავინ ჩაეწეროს წევრად, ესე იგი რომ არავის შეეძლოს მხოლოდ სურვილი გამოაცხადოს წევრობაზე, საწევრო ფული არ შემოიტანოს და სესხის გატანა კი უნდოდეს საწევრო შემოსატანის გამორიცხვით. სანამ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა საკუთარ თანხას გაიჩენს, მანამდის ფულის შოვნა გარეშე

დასჭირდება. აი ამგვარ საჭიროებისა-  
თვის ფულის სესხება შეიძლება სხვა-  
თა შორის წვრილი კრედიტის საგუ-  
ბერნიო დაწესებულებაში, რომელიც  
სახელმწიფო ბანკთან არსებობს.

ამგვარად ორივენაირ საკრედიტო  
დაწესებულებას—საკრედიტო ამხანა-  
გობასაც და შემნახველ-გამსესხებელ  
ამხანაგობასაც სჭირდებათ და შეუძ-  
ლიანთ ძირითადი თანხა ისესხონ წვრი-  
ლი კრედიტის საგუბერნიო დაწესებუ-  
ლებაში. განსხვაება ამ საკრედიტო და-  
წესებულებებ შორის მხოლოდ იმაშია,  
რომ საკრედიტო ამხანაგობის წევრებს  
ამხანაგობის დაწესება შეუძლიანთ ისე  
მოახდინონ, რომ წევრ-ამხანაგებს თა-  
ვიდანვე არ დასჭირდეთ საწევრო ფუ-  
ლის შემოტანა. შემნახველ-გამსესხე-  
ბელ ამხანაგობის დასაარსებლად კი სა-  
ჭიროა წევრებმა საწევრო გარდასა-  
ხადი წინავე შემოტანონ სრულად  
თუ არა ნაწილი მაინც. ასე შემდგა-  
რი საწევრო თანხით და ძირითად თან-  
ხად ნასესხები ფულით იწყობს ამხანა-  
გობა მოქმედებას. როცა საანგარიშო  
წელიშადი გათავდება, თუ რამ მოგება  
დარჩა, ჯერ ვისაც პასი ფასი სრუ-  
ლად არა აქვს შემოტანილი, იმისი ხვე-  
დრი მოგებიდან შეივსება იმისი შე-  
მოსატანი და დანარჩენი შეეძლება  
წევრს გაიტანოს.

სსენებულ განსხვავებასთან საკრედი-  
ტო ამხანაგობის და შემნახველ-გამსეს-  
ხებელ ამხანაგობის შორის ეს შემდეგი  
განსხვავებაც უნდა გვახსოვდეს:

თუ საკრედიტო ამხანაგობამ ზარალით  
გაათავა მოქმედება, ამხანაგობის ვა-  
ლი ყველა ამხანაგების გარდასახადი იქ-  
ნება, რადგან ყოველი სესხი ურთი-  
ერო თავდებობით ეძლევათ მათ. შემ-

ნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში კი  
თუ ზარალით გათავდა წელიშადი, ამ  
ზარალის პასუხისმგებელი მხოლოდ  
საამხანაგო თანხა საწევრო ფულიდან  
და სხვა საამხანაგო შემოსავლიდან შემ-  
დგარი. ამხანაგობის ზარალი საამხანა-  
გო შეძლებამ თუნდაც რომ ვერ და-  
ფაროს, წევრს მაინც იმაზე მეტი, რაც  
მას საწევრო ჰქონდა შეტანილი, სხვა  
არა გამოერთმევა-რა. ამგვარად ვინც  
ამხანაგობის დაარსებას მოინდომებს,  
მან უნდა ზემოაღნიშნული განსხვაე-  
ბა გაითვალისწინოს და ისე გადა-  
წყვიტოს საკრედიტო ამხანაგობა დაა-  
რსოს თუ შემნახველ-გამსესხებელი  
ამხანაგობა.

## ჩა გზით შეიძლება იშოვოს აგ- ხანაგობამ საჭირო თანხა

ამისათვის სმჭიროა ვიცოდეთ რომ  
თანახმად 7 თიბათვეს 1904 წელს გა-  
მოსული კანონისა ყოველ გუბერნიაში  
არსებობს ეგრედწოდებული „წვრილი  
კრედიტის საქმეების გამგე კომიტე-  
ტი“, რომელიც ერთა ამხანაგობებს  
და იძლევს მათ ორგვარ სესხს: 1) ძირი-  
თად თანხას 13 წლის ვადით იმ პი-  
რობებით რომ ერთი წლის შემდეგ ამ-  
ხანაგობამ ნაწილ-ნაწილ ყოველ წლივ  
ერთი მეთორმეტედი ნაწილი სესხისა  
დააბრუნოს და 2) მოკლე ვადით  
სესხს ვექსელით საერთო პასუხის მგებ-  
ლობით.

ძირითადი თანხა ეძლევა ამხანაგო-  
ბას სხვადასხვა ზომისა იმისდამიხედვით  
თუ რამდენი წევრია ამხანაგობაში, რამ-  
დენად მკვიდრია და რაოდენია მათი  
საერთო ქონებრივი შეძლება და სხვა.  
საკრედიტო დაწესებულებას ეს ძირი-  
თადი თანხა ესაჭიროება ჯერ ერთი



თა ნაირ კანონი გამოიცა რუსეთში 7 თბილი 1904 წ. და არა გამოიცა მინისტრი

იმისათვის, რომ პეტრების რა გაასესხოს  
და მეორე—ნდობა მოიპოვოს ხალ-  
ხში, რომ ვისაც მეტი ფული აქვს, უშიშ-  
რიდ შეეძლოს შესანახად შემოიტანოს.  
მოკლე ვადიან სესხის გატანაში უმ-  
თავრესს მნიშვნელობას ბანკი ამხანა-  
გობის საერთო პასუხისმგებლობას აძ-  
ლევს.

რაც უფრო დიდია და მკვიდრი ამ-  
ხანაგობის საერთო ქონება, იმდენად  
ბანკი მეტ თანხას ანდობს მათ ვექსე-  
ლით.

ერთად შეერთებულ საერთო საქმის  
გასაძლოლად რამდენიმე კაცს არამც  
თუ მარტო ბანკიდან ექნებათ მეტი  
ნდობა, ვიდრე თითოეულ მათგანს,  
არამედ ყოველი კერძო დაწესებულე-  
ბაც და პირიც მეტად ენდობა მათ.  
სადაც ნდობაა, იქ ფულიც იქნება. საამ-  
ხანაგო თანხის შესადგენად ზოგი ბან-  
კი მისცემთ და ზოგი კერძო პირნი  
მიუხედავად იმისა ეს პირი წევრები  
არიან ამხანაგობისა თუ არა.

ფულის შენახვის პირობები ზოგი  
საკრედიტო დაწესებულების წესდება-  
შივე გამოკვლეული და ზოგი თვით  
ამხანაგობამ უნდა გამოარკვიოს და და-  
წესოს. მაგალითად რა ვალით უნდა  
იქნეს ფული მიღებული შესანახათ, რა  
სარგებელი უნდა ეძლიოს ამ ფულში,  
რაოდენი თანხის მიღება შეიძლება შე-  
სანახად—ყველა ეს უნდა თვით ამხანა-  
გობამ გამოიკვლიოს.

სესხის აღებაც და შესანახად ფუ-  
ლის აბარებაც საკრედიტო დაწესებუ-  
ლებას მხოლოდ იმ პირობით შეუძ-  
ლიან, როგორ პირობასაც წევრთა სა-  
ზოგადო კრება დაადგენს. ხოლო სა-  
ხელმწიფო ბანკი ასესხებს ამხანაგობას

იმ პირობით, რომ მან წესიერად აწარ-  
მოვოს თავის საქმე, წვრილ-წვრილი სე-  
სი მისცეს იმ მეურნეთ, რომელთაც  
სესხი საოჯახო-სამეურნეო საჭიროე-  
ბისათვის, თავიანთ სამეუნეო დარგის  
გასაუმჯობესებლად უნდათ.

ვინც გატანილი ფულის მოხმარებაში  
პირნათლად შეასრულებს თავის მოვა-  
ლეობას ბანკის წინაშე და სესხაც თა-  
ვის დროზე დაბრუნებს, მას ბანკი შემ-  
დევისთვის უფრო მეტ დახმარებას აღ-  
მოუჩენს.

საკრედიტო დაწესებულების საზო-  
გადო წესდებით სახელმწიფო ბანკს  
დავალებული აქვს თვალყური ადევ-  
ნოს ამ დაწესებულებათა მოქმედებას.  
ბანკს როგორც ამ მოვალეობის ასა-  
რულებლად ისე ზემოთ აღნიშნულ  
დახმარების აღმოსაჩენად ჰყავს წვრი-  
ლი კრედიტის ინსპეკტორი, რომელიც  
მოვალეა საკრედიტო ამხანაგობის და-  
მაარსებლებს გზა უჩვენოს და ყოვე-  
ლი დახმარება გაუწიოს.

ინსპეკტორი წვრილი კრედიტის  
დაწესებულებათა მოქმედებას, რო  
მელთაც სახელმწიფო ბანკიდან ფუ-  
ლი აქვთ ნასესხები, თვალყურს ადევ-  
ნებს და დრო-გამოშვებით რეგისიას  
უკეთებს.

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნი-  
ებში და აგრედვე სხვაგანაც ამიერ  
კავკასიაში უკვე მოქმედობენ ზემოხსე-  
ნებულ კანონის თანხმად დაარსებული  
საკრედიტო ამხანაგობანი, რომელთ  
მოთავენი ძალიან კარგს იზამდნენ რომ  
გამოუგზავნონ უტრის „მოხავალს“  
დასაბეჭდად შემდეგი ცნობები: სად  
როგორ იხეირეს ამ ამხანაგობებმა, რა  
გზას ადგანან თავიანთ მოქმედებაში და

რა შედეგი მოიტანა უკვე ამ მოქმედებამ, რომ მათი მაგალითით სხვებმაც ისარგებლონ და ხალხისათვის კეოილ საქმეს ფართო გზა მიეცეს გასაყრცელებელი.

### ვ. რცხილაძე

## როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი ხველი ხველის გადაცემა

ვინც ჩვენი პირველი წერილი საკვები ბალახების თესვის შესახებ გადაათვალიერა, იმას ეხსომება, რომ სამყურა და იონჯა აძლევს მეურნეს:

1) საქონლისათვის ნოუიერ საკვებავს და სასუქს;

2) დაღლილ მიწას უბრუნებს ნაყოფიერებას და მეტად ხლის მიწის დასვენებას;

3) ხორბლეულობის მორიგობით თესვაში შეაქვს საჭირო წესრიგი.

სანამ მეურნეს მიწა უხვად აქვს, ახალ-ახალ ადგილას შეუძლიან ხნას საქონლის ნადგამობით განკუყირებული მიწა. აქ საქონლის საკვები ბალახის თესვას ადგილი არა აქვს.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მეურნე ევროპიელ მეურნეზე ნაკლებად ირ არის განვითარებული. მას კარგად ესმოდა მნიშვნელობა მიწის გაპატივებისა, მაგრამ მიუხედავად ამისა როცა მისი მიწა უკლებდა მოსავალს, ამ მიწას იგი კი არ აპატივებდა, არამედ თავს ანგებდა და ახალ ადგილს ხნავდა. მიწის სიუხვისა გამო ახოს გატეხა უფრო იაფად ჯდებოდა, ვინემ დაღლილი მიწის გაპატივება. მიწის სიუხვე ხორბლეულობის მოყვანას აიაფებდა, იაფი ხორბალი ბაზარს დიდს პოულობდა და ამას კი ხალხის წარმოდგენაში მეურნეობის ყველა სისტემებზე ანუ წესრიგზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენში არგა ხანია მიწის სივიწროები თავი იჩინა. ისიც ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მიწამ ნაყოფიერობას უკლო. სასუქს უქონლობისა გამო ჩვენ არა ვხმარობთ, რომ მიწას თავისი ძალა დაუბრუნოთ. მაშ სად ან რაში უნდა მოინახოს სახსარი ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესობისა, იმ კითხვა რაშია.

მეურნეობის გაუმჯობესობას ჩვენში ხელს უშლის გლეხების დროებითი ვალდებულობა, ხიზნობა, საეკლესიო გლეხთა აწინდელი დამოკიდებულება ეკლესიასთან და ბევრი სხვა გვარი გარემოება „ნადელებით“ გამოწვეული. სანამ ეს პირობები არსებობს მეურნესა და მიწის მესაკუთრეთა შორის, მეურნეობის წინმსვლელობას გზა შელობილი აქვს. ეს არის თავი-და-თავი მიზეზი ჩვენი მეურნეობის უკან ჩამორჩენისა დღეს. თუ ამ მიზეზებს მივანებებთ თავს და ვიკითხამთ მაინცა და მაინც დღევანდელ პირობებში როგორ მისცეს მეურნემ თავის მამულს, მიუხედავად იმისა ხიზანია იგი ოუ მესაკუთრე, მეტი გამოსავლიანობა, ვიტყვით რომ მან უნდა საძოვრების მაგივრად, რაც არა აქვს, საქონლის საკვებავი საზროო სხვა გზით იშოვოს, შინ გამოკვებოს თავისი საქონელი და მათი ნევი სასუქად იხმაროს გამოფიტული მიწის გასანოყირებლად.

მაგრამ სად იშოვოს მეურნემ საქონლის შინ გამოკვების სახსარი.

როგორც წინა წერილშიაცა ვსთქვით, ამ სახსარს იშოვის მეურნე მხოლოდ მაშინ, როცა ეხლანდელ ხენა-თესვაში საკვებავ ბალახების თესვას ჩაურევს. ბალახის თესვა საკვებავისა და სასუქის მოცემის გარდა მიწას ანოყივრებს და როგორც ზევით იყო ნათქვამი წესრიგს, სისტემას აღლევს ხენა-თესვას. რაში მდგომარეობს ეს წეს-რიგი? იმაში რაც მეურნემ თითონაც კარგად იცის: რომელი მოსავლის შემდეგ რა თესლი უნდა დაითესოს, რომ მეურნემ კა მოსავლი აიღოს.

ერთი და იგივე თესლის თესვით ერთსა და იმავე მიწაზე მიწა მალე იფიტება, თუ პატივი არ მივეცით ან არ დავასვენეთ. ბალახის თესვა კი მიწის დასვენებას ჰმაგივრობს და აი როგორ: მეურნე, რომელიც მორიგობით თესვაში სამი მცენარის თესვას მიზდევს, იგი თავის მიწას, ვთქვათ 12 დესეტინას, სამათა ყოფს. ერთ ნაწილს შემოდგომაზე ხნავს, მეორეს—გაზაფხულზე, მესამ—რჩება დაუთესავი, ასვენებს, საჭინელი დაუდის ზედ.

ხალხს რომ სამი მილიონი დესეტინა ეჭიროს სახნავათ, ამ წესით ყოველ წლივ ერთი მილიონი დესეტინა უნდა იყოს დასასვენებლად გაშვებული იმ მცირედ სარგებლობისათვის, როგორც ეხლა სარგებლობენ.

ამ დასვენების მაგივრად, რომ ბალახი ითესებოდეს, ერთ მილიონ დესეტინის მოსავალი მოემატებოდა ხალხს.

ქართლში—ნიქოზში, სინდიში კომბოსტოსა რგავენ. კომბოსტო კი კარგ თავს ვერ გაიკეთებს, ზრდას რიგიანად ვერ დაისრულებს, თუ მიწას სასუქი არ აქვს მიცემული. კომბოსტოს აღების შემდეგ უნდა დაითესოს შვრია ან უგრეხელა; შვრიას შემდეგ ითესება და უფრო კა მოსავალს იძლევა პური; პურის შემდეგ უკეთესი იქნება დაითესოს სიმინდი, ქერი; ქერსა და სიმინდს შემდეგ უნდა მისდევდეს მუხუდო, ცერცი, ლობიო; მათ შემდეგ სამყურა, იონჯა; ბალახის შემდეგ ახალი პური ანუ დიკა; პურის შემდეგ საქონლის ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი.

აი ასეთი მორიგობითი თესვა უნდა იყოს ჩვენში და არა მარტო პურის, სიმინდის და ქერის ერთი ერთმანეთზე მოყოლება. ამგვარად ჩვენ მინდვრებზე უნდა მორიგობით ვთესოთ საქონლის საკვები იონჯა, სამყურა, ჭარხალი, სტაფილო, კართოფილი და უფრო დიდი აღგილი მიეცეს თესვაში შვრიას, ლობიოს, მუხუდოს, ცერცის, კომბოსტოს. თუ ხორბლეულობის მოყვანაში დღეგანდელი ხენა-თესვის წესი დარჩა, მოსავალი უეჭველია უკან უკან დაიწევს და ხალხს ლუკმა პური დანატრულდება მომავალში.

ე. იოსელიანი

## ნიადაგი

### საიდან ჩედება ნიადაგში ჭყალი

მინერალური ნივთიერების გარდა, რომლებიდანაც შესდგება ნიადაგი, ამ უკანასკნელში უნდა იყვნენ წყალი, ჭარი, და სითბო, რომ მცენარის ფე-

სვებს შეეძლოთ თავიანთი დანიშნულება შეასრულონ.

მცენარის ფესვები თავდებიან პატარა საწოწნავებით, რომლებითაც მცენარე სწუწნის დედამიწიდან საჭირო ნივთიერებებს.

თვით ეს თქმა „სწუწნის“ ნათლად გვიხატავს იმ მოქმედებას, რომელიც ფესვების მუშაობით ხდება.

ცხალია რომ მაგარი მინერალური ნივთიერებანი დედამიშისა უნდა ჯერ წყლით დასველდნენ, გაუივნენ, და-ფნენ, რომ მათი შეწუწვნა-შეთვისება შეეძლოს მცენარეს. ამისათვის კი საკ-მაო წყალია საჭირო. ამგვარად თავი-დათავი საკითხი ყოფილია: საიდან ჩნდება ნიადაგში ეს საჭირო წყალი?

**წვიმა და თოვლი.** გავდგათ გარეთ როცა წვიმა ან თოვლი მოდის ჭურ-ჭელი რამ, რომელსაც პირიც და ძი-რიც ერთნაირი სიგანის აქვს და წვი-მას რო გადაიღებს, გაუზომოთ სილრმე ჭურჭელში ჩამდგარ წყალს. თუ თოვ-ლია, რასაკვირველია, ჯერ უნდა და-ვაცალოთ დალნეს. გაზომილი სილრმე დავნიშნოთ. შემდეგ, როცა წვიმას ან თოვლს აპირებდეს, ასევე მოვიქცეთ ხოლმე მთელი წლის განმავლობაში და წლის თავზე შევაერთოთ ერთად რო-დის რამდენი სილრმე ჰქონდა სხვადა სხვა დროს ჩამოსულ ციდან წყალს.

ამ წყლის რაოდენობა სხვადასხვა კუთხეში ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა-ნაირია. ხოლო საშუალოდ დაახლოე-ბით არსად არ არის 400 მილიმეტრ-ზე ნაკლები და 1200 მილიმეტრზე შეტი მთელი წლის განმავლობაში.

ეხლა ვიკითხოთ მთელი ეს წყალი ხმარდება ან ჰყოფნის თუ არა ნათე-სობას?

დედამიშის ზედაპირიდან წყალი მუ-დამ და განუწყვეტლივ ოთქლობს ჰაე-რში. ყოველი ცალკე მინდვრიდან აორთქლილი წყლის რაოდენობა და-მოკიდებულია ქარზე, რომელიც აქ უბერავს; მცენარეთა სიღიღ-სიპატარა-

ვეზე და მათ სიხშირეზე; ამ მცენარეთა განსაკუთრებულ თვისებებზე და სხვა. ცერცვიანი, მაგალითად, მცენარეები უფრო მეტ წყალს აორთქლებენ მა-ღლლა, ვიდრე ხორბლეული მცენარენი, რაღაც პირულნი უფრო მეტ-ფოთ-ლებიანი არიან. გამოანგარიშებულია რომ ნახნავის დათესვის შემდეგ, ვი-დრე მოსავალი აიღება, დათესილ მინ-დორს ყოველდღე აორთქლებით იმ-დენი წყალი აკლდება დაახლოებით, რამდენიც მთელ იმ მინდორზე რომ დაგვეგუბებინა, 2—5 მილიმეტრი სი-ლრმისა იქნებოდა.

ამგვარად დათესიდგან მოსავლის ჩაკლებამდე, მაგალითად, 100 დღემ რომ გაიაროს, ამ ხნის განმავლობაში მინ-დორიდან 200 მილიმეტრი წყალი აი-ორთქლებს მაღლა.

გურია-სამეგრელოში და იმერეთში კი-დევ ოჯ, მაგრამ ტფილისის გუბერნია-ში კი ამოდენა წყალი ამ ხნის განმავ-ლობაში ზოგან იშვიათად შეეძლება მიე-ცეს ციდან დედამიშას.

გარდა ამისა ზოგი ნაწილი წვიმის წყლისა დედამიშამდე ვერც კი მიაღ-წევს ხოლმე: მცენარის ფოთლებზე, ტოტებზე რჩება წვეთებათ და აქედან ჰაერის სითბოს ზედგავლენით ზევით-ვე ორთქლობს; აგრედვე არა რჩება მინდორზე ის წვიმის წყალიც, რომე-ლიც ღვარებათ წასული ხევ-ხუვებში ჩადის და იკარგება; ზოგი ნაწილი ამ წვიმის წყლისა კიდე თუმცა აქვე ჩადის ნიადაგში, მაგრამ ისე ღრმათ მიდის, რომ იქიდან ვეღარ ამოაწევს ხოლმე ფესვე-ბამდე, რომ მცენარეებმა ისარგებლონ. თუ ყველა ამ მოვლენებს ვიქონიებთ მხედველობაში, აშკარად დავინახავთ რომ მოსავლის დათესიდგან მის აღებამ-

დე წვიმით იმდენი წყალი არ ეძლევა ნიადაგს, რამდენიც საჭიროა და ამიტომ ვიღრე ნახნავი დაითხსება ნიადაგს უნდა წინად შეგროვილი წყალი ჰქონდეს, რომ დანაკლისი შეიცხოს მოსავლის მოყვანაში.

როდის ან საიდან უნდა შეაგროვოს ნიადაგმა ეს მეტი წყალი?

ნიადაგს წყლის შეგროვების დრო წელიწადში ორჯელა უდგება: შემოდგომაზე, როცა წვიმა მოდის ხშირად, და გაზაფხულზე, როცა თოვლი დნება. უნდა ვსთვეთ რომ უველა ნიადაგი ერთნაირი შემგროვებელი და შემნახველი არ არის წყლისა. თიხნარი ან ნეშომპალნარევი მიწები უფრო მეტ წყალს ინახვენ, ვიღრე ქვიშნარები, რომელიც დაფაცხავებულნი არიან, ვერ იჭრენ წყალს და ეს უკანასკნელი ისე ღრმად მიდის, რომ იქიდან უკან ვეღარ ამოაწევს ხოლმე რომ მცენარეებს მოხმარდეს.

უნდა ვიკითხოთ შეუძლიან თუ არა მაგალითად თიხნარ ნიადაგს იმდენი წყალი შეინახოს მცენარის დათვესამდე, რომ მერე წვიმას აღარ საჭიროებდეს და ეს წყალი ბოლომდე გაჰყვეს მოსავლის ჩაკლებამდე?

მრავალი ცდა და დაკვირვება ამ კითხვაზე უარს გვეუბნება, ხოლო ის კი კეშმარიტია რომ რაც, უფრო მეტი წყალი იქნება შეგროვილ-შენახული ნიადაგში, იმდენი ნაკლებად დასჭირდება მას წვიმა ზაფხულში.

**დილის ნამი.** ზოგი ზედმეტ მნიშვნელობას აძლევს დილის ნამს. ჰეონიათ რომ ნიადაგი ბევრ წყალს ღებულობს ნამის შემწეობით. შემცდარი ფიქრია. წყალი ამ გზით მიღებული მცენარეებით ისე ცოტაა რო სათქმელად არა ღირს. დილის ნამი მხოლოდ იჩას ამტკაცებს, რომ ჰაერი გაუენთილია წყლის ორთქლით და ამისა გამო მცენარის ფოთლებში ამოსული ნიადაგიდან წყალი ვეღარ აორთქლილა. ხოლო აორთქლების ასეთი შეფერხება უნიშვნელო არ არის მცენარეებისათვის. როცა ჰაერი მშრალია, შეიძლება ფოთლებიდან აორთქლება ისე ხარბად ხდებოდეს, რომ ფესვები ვერ ასწრობდნენ საკმაო წყალი მიაწოდონ მცენარეს. აორთქლების შეჩერებით კი მცენარე ისევ შეივსებს დანაკლისს და არა - სასურველ მდგომარეობას აიცდენს.

### 3. გულბათაშვილი

## ლვინის გოჩაბის გარეცხვა

ფრანგი მელვინეები ამბობენ: „ლვინის ჭურჭელი აკეთებსო“. მართალიც არის. თუ ლვინის ჭურჭელი რიგზე გარეცხილი არ არის, ლვინის დიდი ზიანი ეძლევა. ჭურჭელი, ახალია იგი თუ ძველი, თავის რიგზე უნდა გაირეცხოს და მომზადდეს ლვინის ჩასასხმელად. ახალ ბოჩის უნდა გამოეცალოს ყოველივე ის ნივთიერება, რომელიც ლვინის სითხეში იხსნება და ლვინის გე-

მოს აძლევს. მუხის ბოჩია შეიცავს ერთ გვარ სხეულს, რომელსაც ტანინს ეძახიან. ეს ტანინი ლვინის ცუდს, მწერარტე გემოს აძლევს და ამასთანავე ფერსაც უფუჭებს. რეცხავენ ახალ ბოჩის შემდეგის წესით: ჯერ ახალი ბოჩია უნდა 2—3 დღის განმავლობაში ცივი სუფთა წყლით იყოს სავსე. შემდეგ თითო 40 ვედრიან ბოჩიაში ჩასხმენ 2—3 ვედრა წყალს და ჩაყრიან 6—8 გირ-



ვანქა ჩვეულებრივ ფხვიერ მარილს. როცა წყალში მარილი გაიხსნება, ბოჩკას აქანჭყარებენ, რომ მარილ-წყალი ბოჩკას უველგან მოხვდეს. მარილ-წყლის გამოვლების შემდეგ ბოჩკაში ჩაყრიან 3—4 გირვანქა სოდას და ზედ დაასხამენ სამ-ოთხ ველრა აღუღებულ წყალს.

დაუწყებენ ბოჭკას ხელახლად ჭანჭყარს, რომ ახლა სოდიანი წყალი მოხვდეს ბოჩკას უველგან. მერე რამოდენიმე ხანს დააცდიან და მანამ თბილია სოდიანი წყალი გამოლვრიან. შემდეგ ბოჩკას ჰორთქლავენ აღუღებულ წყლით ან იმის ორთქლით. ბოჩკის საორთქლებელათ ხმარობენ ორთქლის ქვაბს. ბოჩკაში შეუშვებენ რაოდ 10—15 წამის განმავლობაში, შემდეგ მაგრად დაუცვავენ პირს და ამყოფებენ ასე იმ დრომდე, სანამ ბოჩკა გაციებას დაიწყებს. ცხელ ორთქლს ტანინიც გამოაქვს ბოჩკიდან და ყველა მიკრობებსაც ხოცავს, რომელნიც კი იმყოფებიან ბოჭკაში.

ვისაც ორთქლის ქვაბი არა აქვს, იმას შეუძლიან ბოჩკაში ჩაასხას 5—6 ველრა აღუღებული წყალი, გარეცხოს და შემდეგ ცივი წყალი გამოავლოს რამდენჯერმე, სანამ ბოჩკა სრულიად გაცივდება. გარეცხილ ბოჩკას დასაწკრეტათ დასდებენ.

ბოჩკის გასარეცხათ ქვა-კირსაც ხმარობენ. ერთი ბოჩკისათვის საკმარისია 10—15 გირ. ქვა-კირი. კირს დაამტვრევენ, ჩაყრიან ბოჩკაში და ცოტ-ცოტაობით დაასხამენ ზედ ცივ წყალს. წყლის დასხმით კირი დაიწყებს დაშლას, რის გამო წყალი ცხელდება. კირის დაშლის დროს ბოჩკას პირს დაუცვავენ მაგრათ, რომ ორთქლი არ

ამოვიდეს ბოჩკიდან. რამდენიმე ხნის შემდეგ ბოჩკას დაუწყებენ ჭანჭყარს, რომ კირი უველგან მოხვდეს ბოჩკას. როცა კირი სრულიად გაიხსნება ბოჩკაში და შიგ მყოფი კირ-წყალი გაცივდება, ბოჩკას დასცლიან. კირის შემდეგ ბოჩკაში ჩაასხამენ წყალში გახსნილ გოგირდის სიმუავეს, რომელიც ამრიგათ მზადდება: აიღებენ ორ გირვანქა გოგირდის სიმუავეს და ჩაუშვებენ ფრთხილად ერთ ველრა ცივ წყალში. ამ ხსნილს ჩაასხამენ ბოჩკაში და ბოჩკას გორებით ანჯლრევენ, რომ კარგათ მოვლოს სიმუავე. ერთხელ გაკეთებული ასეთი ხსნილი იგარებებს რამდენიმე ბოჩკის გამოსარეცხათ. გოგირდის სიმუავის გამოვლების შემდეგ ჭურჭელს რამდენჯერმეჯერ ცხელით და შემდეგ ცივი წყლით რეცხავენ, კარგი იქნება თუ ერთი დღე-ღამე წყლით გამსებულს გაუშვებენ ბოჩკას. ბოჩკის გამორეცხის შემდეგ საჭიროა დაგრაწმუნდეთ სრულიად მოშორდა ბოჩკას ტანინი თუ არა. ამისათვის აიღებენ ჭიქით ბოჩკის ნარეცხს წყალს და ზედ რამდენიმე წვეთს აჯასპის ხსნილს (რკინის კუპაროსი) დაკრავენ.

თუ წყალი გაშავდა, ეს იმისი ნიშანი იქნება რომ ტანინი კიდევ ურევია და ბოჭკას გამორეცხვა აკლია. რაც უნდა რიგიანათ გამოირეცხოს ახალი ბოჩკა ის მაინც სრულიათ ვერ განთავისუფლდება ტანინიდან, ამიტომ ახალ ბოჩკაში ძველს და ნაზ ღვინოს არ ჩაასხამენ. ახალ ბოჩკას ხმარობენ ახალი ღვინოსთვის. ახალ ღვინოზე ცოტა-ოდენი ტანინი ვერავითარ საგრძნობელ გავლენას ვერა ქონელობს.

მ. ქარცივაძე

# თამბაქო

(გაგრძელება)

## ფოთლების გახმობა

თამბაქოს ფოთლების საბაზროთ დამზადება, მის გახმობა-გამოყვანა დიდი დახელოვნებას მოითხოვს. ჯერ უნდა ვიცოდეთ როგორ შევატყოთ თამბაქოს დამწიფება და როდის უნდა მოიკრიფოს. თამბაქოს ფოთლობი მაშინ არის მწიფე, როდესაც ფოთლოლი ზედ ყვითელი წინწერები დაეტყობა, და მარმარილოს დაემზავსება და თამბაქოს სუნი მიეცემა. ეს ნიშნები გამოჩნდებიან ხოლმე ჯერ ზევითა ფოთლებზედ და შემდეგ ქვევითებზედაც. სწორედ ამ დროს დაიწყება მოკრეფა თამბაქოსი. ფოთლები დიდის სიფრთხილით უნდა მოიმტვრას, რომ არ დაშავდნენ. ძირითა ფოთლები უნდა შეგროვდეს ცალკე და ზევითა ცალკე.

ზოგან თამბაქოს ასე კრეფენ: რამდენიმე დღით წინ დაკრეფამდე თამბაქოს გადაჭრიან ძირში ნახევრად ისე რომ გვერდზედ გადაწვეს, ხოლო ღრის კი არ მოშორდეს, და ფოთლებს ზედვე ახმობენ, ან კრეფენ და ისე აშრობენ. გამოშრობა-გახმობა ფოთლისა უნდა დიდის სიფრთხილით მოხდეს, რადგან თამბაქოს ავ-კარგიანობა ამაზეა დამკიდებული. დაკრეფილ ფოთლებს რამდენიმე დღე სტოვებენ შენობაში, სადაც ჰაერი თავისუფლად უნდა მუშაობდეს, რომ ნიავმა გაუაროს, და შემდეგ გაფენენ რათხ არშინიან სიგძით კანაფზედ ან ჯოხზედ. გაფენილი ფოთლობი ფოთლოს არ უნდა ეხებოდეს.

ზედ დეროზედ აჭკნობენ თუ დაკრეფენ და ისე გაახმობენ, ორივე შემ-

თვევაში ფოთლოლი უნდა დაიხვრიტოს შეუძლებელი. მოუმტვრეველი ფოთლების გახმობა მით არის კარგი, რომ თუ მოწევა აკლია ფოთლოლს, იგი ამ დროს მომწიფდება კიდევაც. თამბაქოს გასახმობათ უნდა იყოს დამზადებული ცალკე შენობა, სადაც ჰაერი თავისუფლად უნდა მოძრაობდეს. ფიცარისა და ფიცარის შორის შენობის კედლებში უნდა ასე გოჯამდე აღვილი რჩებოდეს ჰაერის სამუშაოდ. შენობის სახურავშიაც საჭიროა ჰაერის სამუშაო სარკმელები. თამბაქო ძლიერ მძიმეთა შრება, ისე რომ სრულიად გამოშრობა-გახმობას უნდება 6—10 კვირამდე, ამასთან გასაშრობათ გაფენილი ფოთლები უნდა ღრო გამოშვებით შეირჩეს ხოლმე. როდესაც დახვეული ფოთლოლი თავის თავად გაიშლება, მაშინ გამოშრობა დასრულებულია.

გამშრალი ფოთლები უნდა ხარისხებათ დაიყვეს და კონებად შეიკრას. თითო კონაში უნდა კარგად გასწორებული 10—30 ფოთლოლი იყოს. კარგია თუ კონებათ შეკვრა ნესტიან დღეში გაკეთდება. შეკრული კონები იწყობა გრძლათ დახურულს შენობაში კონები ჩახურდებიან ხოლმე და თამბაქოს, ყვითელი ოქროს ფერი ეძლევათ, ურომლისოდაც არც ერთი ფაბრიკანტი არ იყიდის მას. რომ ყველა კონა კარგად გამოვიდეს, უნდა კონებს აღვილი ვუცვალოთ ხოლმე. თუ კონებში დაობებული ან დამპალი ფოთლები გამოჩნდენ, უნდა გამოვაშო



როთ, რადგან ისინი სხვებსაც წაახდენენ. როცა თამბაქო სავსებით შევა, უნდა კონები გრილ სარდაფუში დაეშეს, მეორედ რომ არ ჩახურდნენ

კონები უნდა განი-გან ეწყოს. ასე და-მუშავებული თამბაქო მზათაა შექარხნე-სათვის.

სტ. ვ. რცხილაძე

## აღმარსიანად მოეპყარით თქვენს საქონელს

### პროფ. პაპოვი

ცხოვრებიდან ყველამ კარგათ იცის, რომ თავაზიანი, ალერსიანი მოპყრობით უფრო მეტს სარგებლობას ნახავს კაცი, ვიდრე უხეშ-უკმეხით. ზოგ კაცთან ალერსით თუ გააწყობ რასმეს თორემ სხვაფრივ ვერასფერს გამორჩები. ეს დაკვირვება, მკითხველო, იქნება გაგრძელდეს კიდეც, ჩვენს შინაურს საჭირელსაც შეეხება. ალერსიანი მოპყრობა პატრონისათვის დიდათ სასარგებლოა, სასურველი და ზოგჯერ საჭიროც. მაგ. მფრთხალსა და ურჩ ფურს თუ უხეიროდ მოექცა კაცი, იგი უფრო შეშინდება, შიშით უბრვერის აღამიანს და ბევრჯელ სამაგიეროსაც გადუხდის ხოლმე—ერჩის ან წიხლსა ჰკრავს. თუ მის მოწველას მოინდომებენ, არ ნებდება და თუ მაინცდამაინც მოწველეს, ცურიდან მთლიად რძეს არ აძლევს, რძეს ინახავს. თუმცა პატრონი მცირეოდენად ზარალდება, მაგრავ ამას ჯანი გვარდეს. შენახული, დაკერილი რძე ცურს ძალიან ავნებს, მის მოქმედებას პრკოლებს. ცურში დარჩნილი რძე უფრო მსუქანია, ვიდრე გამოწველილი. დარჩენილი რძის მიზეზით ცურს ანთება ემართება, სივდება, მაგრდება, წითლდება, ცურში ჯირკვლები ჩნდება და ამისა გამო შემდეგში ნაკლებს იწველის, მეტადრე თუ დროზე არ უშველეს წამლობით.

რა აიძულებს ფურს რძის შენახვას? მრავალი რამ. მაგალითად შეტევა,

ლანძლვა-კინება, ცემა, ძუძუებში უცაბედათ ხელის მოჭერა, ცივი წყალი ცურზე მოსავლელი ძუძუების ძალიან დაწევა, მუჯლუგუნი ძროხის იქით მისაყენებლად, ყვირილი, ხმაურობა და სხვა. გაკვირდება მკითხველო, რა უბრალო რამეს შეუძლიან ფურის შეწუხება, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ყველა ამის წყალობით პატრონი ზარალობს, რადგან ჯერ ერთი ძროხა ნაკლებს იწველის და მეორე ცურიც უფუჭდება, უსნეულდება. ხშირად პატრონი იძულებულია გაჰყიდოს ძროხა, რადგან მწველელად აღარ ვარგა. ამისთანა გარემოებაში რასაკვირველია საჭიროა ალერსიანი მოპყრობა და მუჯლუგუნ—შეტევაზე ხელის აღება, მით უმეტეს, რომ პატრონი აქ არაფერს ჰკრავს. ჩვენში ჩვეულნი არიან უხეირო ქცევას. ამას მნიშვნელობას არ აძლევენ არავითარს. ოლონდ ფურს საკმაო საკვები ჰქონდეს თორემ რას დაგიდევს, თუ შეუტიე ან დაპკარი. არა, ეს შემცდარი აზრია. განათლებულ ქვეყნებში, მაგ. ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და დანიაში მეურნეებმა დიდი ხანია შეიგნეს საქონლის ალერსიანი მოპყრობის საჭიროება და აკი არც ნანობენ, რადგან მაღლიერი ძროხა ძლიერ ბლომა რძეს იძლევა. ალერსიან მოპყრობის საჭიროების დასამტკიცებლად იქაურმა საქონლის მომშენებლებმა შემდეგი

ცდა მოახდინეს: ნახირი ორად გაჰყვეს; უველას ერთნაირ საკვებს ძილევდნენ, ერთნაირად უვლიდნენ, მხოლოდ წველის ღრმას ერთ ნაშილს აღერსით, თავაზიანად ეპყრობოდნენ, მეორეს კი ურიგოდ: უყვიროდნენ, ხმაურობდნენ და აწუხებდნენ. წარმოიდგინეთ რომ შედეგიც ძალიან განსხვავდებოდა: პირველმა წილმა 10% მეტი რძე მოიცა, ვიდრე მეორემ, ე. ი. უფველ ათ ბოთლ რძეზე ერთ ბოთლ მეტს იწველიდნენ ის ძროხები, რომელთაც თავაზიანად და სიყვარულით ექცევდნენ მოწველის ღრმას. მაშარა ვცდებით როცა ვამბობთ რომ საქონლის შეწუხება მავნებელია! საჭიროა ვიცოდეთ, რომ პირუტყვი ადამიანურ ქცევას საჭიროებს. ასეთი მოქცევა ეჭირვება უფრო ფურს, რაცგან იგი უფრო ნაზია. მშვიდობიანი მოგცევით ძროხას ვამშვიდებთ, რძეს სრულად იძლევა და მწველელსაც ნდობით ეკიდება.

ვინ არ იცის რომ ერთი და იგივე ფური როცა სხვადასხვა კაცი სწველავს, რძეს ერთნაირად არ იძლევა! ზოგჯერ ერთ მწველელს ახლოც კი არ იკარგებს, მეორეს კი ნებდება და წველის გათავებამდე მშვიდათა სდგას. ასევე იცის ძროხამ, როცა ერთი კაცის ხელიდან მეორეში გადადის. კარგი იქნება რომ ბაკის, ან გომის ახლოშახლო ისეთი ხმაურობა არ იყოს, რომელიც ძროხას შეაშინებს და დააფრთხობს.

ზემო ნათქვამიდან მკითხველი უკველია არ იფიქრებს, რომ იღერსიანი მოპყრობა საქონელთან მხოლოდ ჩვენი იხილება! რბილიც მოგცევა ხარჯსა და შრომას რომ საჭიროებდეს კიდე ჰი. მაშინ კიდე გვეთქმოდა რმა წინააღმდეგ. საჭიროა მხოლოდ პირველ ხანს კაცმა თავის თავს ცოტა ძილა დაატანოს, რომ თავი შეიმაგროს და შემდეგ ჩვეულებად გადაეჭცევა და სარგებლობის მეტს სხვა არაფერს მოუტანს თავის ოჯახს.

საქონელი რომ საღი იყოს და ამასთანავე ჰეტს სარგებლობას აძლევდეს პატრიონს, საჭიროა შემდეგი: 1) წველის ღრმას ხმაურობას ერიდოთ; 2) ფურთან უნდა ფრთხილიად მისვლა, დაყვავება; 3) ცურზე ხელი უნდა მოუსვათ, ნელ-თბილ წყალით მოპანოთ და შეუმშრალოთ რბილი ტილოთი; 4) შემშრალების მერე კიდევ უნდა მოუსვათ ცურს ხელი და ოდნივ ნაზად შეკრათ ზევით ცურს, როგორც ეს ხბომ იცის, და მერე წველა დაიწყოთ. წველის გათავების შემდეგ საჭიროა კიდევ დაუკუვალოთ ფურს.

განა უველა ეს ბევრი რამ არის ან ძნელი ასასრულებელია? სრულებითაც არა. აღერსიან მოპყრობას საჭიროებს უფველი სულდგმული, მეტადრე ადამიანისაგან, რომელიც ბუნების მეფეთა სთვლის თავის თავს.

**ელ. კარბელაშვილი.**

## საუკადებო ცნობები

**ლაქების ამოსაყვანი საპონის მომზადება.** ერთ გირგანქა თეორ საპონს დასჭრიან თხელ-თხელ ნაჭრებათ და ერთ სავსე სტოლის კოვზ ძროხის ნაღველასთან და ერთ კვერცხის გულთან უცილათ. აზელვენ კარგად. ამ აზელილ ცომს ერთი დღე-ღამე დაამყუდებენ სნორტიგში და შემდეგ პატარ-პატარა ჭვერებათ დააკეთებენ და შეინახვენ ხმარებამდე.

**ხმარება** ამ საპონისა ასე ჩდება: დალაჭვებულ ადგილს ჯერ ციტრათი დანამავენ. მერე საპ. ნის კვერით გახეხენ კარგად და შემდეგ წმინდა და წყლით ამორეცხავენ.

**აბრეშუმის ხელსახლც-ბალდადების გარეცხა.** გაფუქვნილ კართოფილს დასრესენ სუფთა წყალში, გასწურავენ საცერში და ამ



გაწურულ წყალში გარეცხავენ აბრეშუმეულს უსაპორო. აბრეშუმეული მშვენივრად გაირეცხება კიდევაც და არც ელვარებას დაკარგავს.

როგორ უნდა ეწამლოს ვისაც პირი უყარს. პირის აყროლება პირის, ან კუჭნაწლევების ავადმყოფობით წარმოსდგება. ზოგ შემთხვევაში კი ამის მიზეზი ჭიანაჭამი კბილები არიან.

აქედან ცხადია რომ პირის სიმყრალეს უნდა თავი-და-თავი მიზეზი მოექებნოს და ისე

ეწამლოს. ხოლო ხშირად აღამიანს ცუდი სუნი სდის ხოლმე პირიდან არა იმიტომ რომ რამე სტკივა, არამედ პირის უსუფთაობისა გამო. ამ შემთხვევაში სულ უბრალო საშუალება შეიძლება ვიხმაროთ ამ სუნის ძოსასპობლად. საშუალება იგი შეიდეგია:

შეაწვებები 2	ნაწილ	საჭმელ მარილს
200	"	წყალს
30	"	პირნის წყალს

და ამ სსნილით ირეცხავენ პირს საჭმლის მიღების შემდეგ.

## განცხადებანი

მთელ კავკასიაში პირველი სპეციალური ელექტრო-განაცვლილი დაწესებულება

### პ. დიუმა

ტფილისი, მიხაილოვის ქუჩა, № 140, რომელიც ამზადებს მეფუტკრეობაში საჭირო ყველანაირ იარაღებსა და ავეჯეულობას.

დედა-ღულიერის გაზრდა ჩელოვნური, ზიგნები და სახელმძღვანელოები

მეფუტკრეობის შესახებ.

აქვე ყიდულობენ და ჰყილიან თაფლს და წმიდა სანოელს.

პრესკურანტი უფასოთ.

სახელმწიფო ქონებათა და მიწათ მოქმედების სამინისტროს კომისიონერი

მ. ე. ფრიდონოვი ტფილისში.

### სპირიტები და წამლები გაღ-ვენახების შესახ- ლავად

შევთა უაგიანი ცნობილი მაკლესფორდებისა და სხვა ფირმებისა.

გოგირდი მარსელისა და პირდაპირ იტალიიდან გამოწერილი სხვადასხვა ფირმებისა და ჩვენი საკუთარი ფირმისა.

ნამდვილი გვენცურტის მფარენალი ბლენდელის ფაბრიკისა ლონდონში.

კულვერიზატორები (შესასხურებელი აპარატები) მონსერვიესი, ვერმორელისა და სხვა ფაბრიკებისა.

მზად გაკეთებული პარაშოკი ვაზებზე და ხეხილებზე შესასხურებლად სოკოებისა და მწერ-ჭია-მატლების წინააღმდეგ „ეკლერი“ სხვადასხვა ფაბრიკებისა.

ურარტის საწურავები (პრესები) მაბილიესი, მარმონიესი და სხვა ფაბრიკებისა.

ღვინისა და სპირტის ამოსალები ნასრსები ანუ კომპანი გვილებოსი.

ღვინის გასაშინჯი აპარატები სალერნ-ჯურდენისა.

ვაზების შესაყელი და ახახვევი რაცი.

აზბესტის ფილტრები მალოვიჩის, რუეტის და სხვა ფაბრიკებისა.

აცეტილენის ვარები მაღალ კოშებზე ასანთები მედუზასი.

კანტორა კისრულობს სხვა ყოველი გვარი იარაღებისა და მაშინების გამოწერასაც, რომელნიც კი საჭირონი იქნებიან მევენახე-მელვინეებისათვის, მებალეებისათვის და აველა სხვა მეურნეთათვის.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ მსურველი მიმართავენ მ. ე. ფრიდონოვს ფფილისში.

კატალოგები უფასოდ.

რედაქტ. -გამომცემელი გ. ი. რცხილაძე